ბალდათის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სტრატეგია

2019 – 2021 წლები

1.შესავალი

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სტრატეგიის“ (შემდგომში „სტრატეგია“) მიზანია, დაარეგულიროს იმ საკითხთა ერთობლიობა, რომელიც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 14-29 წლის ახალგაზრდებს ეხებათ. სტრატეგია ეფუძნება „სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტს“, მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

2014 წელს საქართველოს მთავრობის #533 განკარგულებით საქართველოს „სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი“ დამტკიცდა. მთავრობის მიერ შემუშავებული ხედვა აღიარებს, რომ ახალგაზრდობა ქვეყნისათვის განსაკუთრებულ ფასეულობას წარმოადგენს. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისთვის, თვითგამოხატვისადა თვითრეალიზაციისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას და მათ აქტიურ ჩართულობას საზოგადოების ყველა სფეროში .

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 მარტის #349 განკარგულებით დამტკიცდა „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმა 2015-2020წწ.“, რომელიც ახალგაზრდული პოლიტიკის სისტემური და მდგრადი განვითარების მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს . ის მოიცავს კონკრეტულ და დროში]გაწერილ პროგრამებს, პროექტებსა და ღონისძიებებს, რომელთაც უნდა უზრუნველყონ ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელება. განსაკუთრებული როლი პოლიტიკის ეფექტიანად დაგეგმვასა და განხორციელებაში ენიჭებათ ადგილობრივი ხელისუფლები ორგანოებს. ის ახალგაზრდები, რომლებიც ცხოვრობენ რეგიონებში, უმეტესწილად ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ურთიეთქმედებენ. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, არსებობდეს ახალგაზრდობის განვითარების მხარდაჭერის მუნიციპალური სტრატეგია, სადაც გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სპეციფიკური საჭიროებები და ინტერესები და შესაბამისი მიდგომები და პროგრამები, რომლებიც ახალგაზრდების მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება.

2. ზოგადი ინფორმაცია

ბაღდათის მუნიციპალიტეტი დასავლეთ საქართველოში, იმერეთის რეგიონში მდებარეობს, ზღვის დონიდან საშუალოდ 200 მეტრზე და მისი ფართობი 815კმ2-ია, მუნიციპალიტეტის ცენტრი, ქალაქი ბაღდათი ქუთაისთან 25 კილომეტრითაა დაშორებული.

მუნიციპალიტეტი შედგება 15 ადმინისტრაციული ერთეულისა და 25 სოფლისგან. სოფელ ხანს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი და შესაბამისად, იქ მცხოვრებ მოსახლეობას შეუძლია, "მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სარგებლის მიღება.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით ბაღდათის მუნიციპალიტეტში 15-29 წლის ახალგაზრდების საერთო რაოდენობა შეადგენს 3,855-ს, მათ შორის, მამაკაცი - 2,083, ხოლო ქალი - 1,772. აქვე საინტერესოა ახალგაზრდების რაოდენობა ქალაქისა და სასოფლო დასახლებების მიხედვით: საქალაქო დასახლება - 626,სასოფლო დასახლება - 3,229;

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებას არეგულირებს საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ევროპული ქარტია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები.

საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის იგივე კანონით. ასეთ საკითხებს განეკუთვნება ღონისძიებების განხორციელება ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნითაც.

მუნიციპალიტეტს გააჩნია არჩევითი წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი (მერია) ორგანოები - მუნიციპალიტეტის ორგანოები. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ორგანოების უფლებამოსილებათა განხორციელების ერთ-ერთი ფორმა და მექანიზმია მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება, დამტკიცება და განხორციელება (მუხლი19), ხოლო მერი უფლებამოსილია უზრუნველყოს შესაბამისი სტრატეგიებისა და გეგმების მომზადება, საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა და განხორციელება (მუხლი54).

3. სტრატეგიის შემუშავების პროცესი.

სტრატეგია მომზადდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის, World Vision საქართველოსა და USAID-ის ზრდა პროექტის პარტნიორობის საფუძველზე, რომელშიც შემდგომში ჩაერთო სხვა დაინტერესებული მხარეები: ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურული ერთეულები, საკრებულო, ახალგაზრდული ორგანიზაციები, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭო და სხვა.

სტრატეგიის შემუშავების პროცესი მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

• დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და პარტნიორობის დამყარება;

• სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის და იმ არსებული სამთავრობო სტრატეგიებისა და პროგრამების ანალიზი, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდებთან;

• ადგილობრივ დონეზე არსებული პროგრამების, რესურსებისა და სერვისების ანალიზი;

• ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების კვლევა ბაღდათის მუნიციპალიტეტში;

• სამუშაო შეხვედრები ახალგაზრდული სტრატეგიის პროექტის მომზადებისა პრიორიტეტების იდენტიფიცირების მიზნით;

• სამუშაო შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებთან.

4. ხედვა

სტრატეგიის ხედვა ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის, ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ახალგაზრდებს აქვთ ღირსეული დასაქმების შესაძლებლობა, ხელი მიუწვდებათ ხარისხიან განათლებაზე, არიან აქტიური მოქალაქეები, მისდევენ ცხოვრების ჯანსაღ წესს და ცხოვრობენ უსაფრთხო გარემოში, აქვთ თვითრეალიზაციის და თვითგამოხატვის შესაძლებლობა, იზიარებენ ურთიერთთანამშრომლობისა და ტოლერანტობის პრინციპებს.

5. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

სტრატეგიული მიზანი 1. ახალგაზრდების მონაწილეობა მხარდაჭერილია.

ახალგაზრდების მონაწილეობა აღიარებული უფლებაა საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით. „ადგილობრივ და რეგიონალურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ“ ევროპული ქარტიის თანახმად: „ საზოგადოების დემოკრატიულ ცხოვრებაში მონაწილეობა უფრო მეტია, ვიდრე არჩევნებში ხმის მიცემით საკუთარი პოზიციის დაფიქსირება ან კანდიდატურის დაყენება, მიუხედავად არჩევნების მნიშვნელობისა. მონაწილეობა და აქტიური მოქალაქეობა გულისხმობს უფლებების, საშუალებების, სივრცისა და შესაძლებლობების ქონას, საჭიროების შემთხვევაში კი, მხარდაჭერას, გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობისა და მათზე ზეგავლენის მოხდენისათვის. ღონისძიებებში და აქტივობებში ჩართულობისათვის, რომ ხელი შეუწყონ უკეთესი საზოგადოების მშენებლობას.“ ქარტია ხაზს უსვამს, რომ მონაწილეობა ნიშნავს ზეგავლენას და პასუხისმგებლობის ქონას გადაწყვეტილებებსა და აქტივობებზე, რომლებიც გავლენას ახდენს ახალგაზრდების ცხოვრებაზე ან უბრალოდ მნიშვნელოვანია მათთვის.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში ბაღდათის მუნიციპალიტეტში განხორციელებული კვლევის მიხედვით, მუნიციპალიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში ახალგაზრდების მონაწილეობის იშვიათი მაგალითები არსებობს, თუმცა ახალგაზრდების მოტივაცია, მსგავს პროცესში ჩართულობისა მაღალია. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა უმრავლესობას აქვს სურვილი, ჩაერთოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, განსაკუთრებით ახალგაზრდული მიმართულებით ბიუჯეტის შედგენაში. აღნიშნული მოტივაცია, აჩენს სივრცეს, მუნიციპალიტეტსა და ახალგაზრდებს შორის თანამშრომლობის გასავითარებლად. კვლევის მიხედვით, ახალგაზრდების უნარ-ჩვევების განვითარებაში, როგორიცაა პროექტების წერა, აქტივობების დაგეგმვა და სხვა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები. ახალგაზრდები დადებითად აფასებენ მათ საქმიანობას, თუმცა პრობლემას წარმოადგენს აღნიშნული ორგანიზაციების საქმიანობის შეზღუდული მასშტაბი, რადგან ისინი ძირითადად სკოლებში მუშაობენ და შესაბამისად უფროსი ასაკობრივი ჯგუფისთვის არაფორმალური განათლება გარკვეულწილად მიუწვდომელია. კვლევა გამოყოფს, ახალგაზრდების (22-29წ) ჩართულობის პრობლემას მუნიციპალიტეტის საქმიანობაში, იმ გამონაკლისების გარდა, როცა ისინი თვითონ მუშაობენ მუნიციპალური სამსახურის გარკვეულ ერთეულებში. აქვე აღინიშნა მოხალისეობრივი საქმიანობის დაბალი პოპულარობა, რომელიც ძირითადად სკოლის ასაკის მოზარდებში ვლინდება სხვადასხვა არასამთავრობო და სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობის კუთხით. უფროს ასაკობრივ ჯგუფში მოხალისეობა ძირითადად მეზობლების უანგარო დახმარებაში გამოიხატება.

ამოცანები: 1.1. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობა მუნიციპალურ დონეზე გაზრდილია;

1.2. სამოქალაქო და სახელმწიფოებრივი ჩართულობის შესახებ ახალგაზრდების ცნობიერება ამაღლებულია

1.3. ახალგაზრდული იდეები მხარდაჭერილია

1.4. მიმდინარე პროცესებისა და არსებული შესაძლებლობების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირება გაზრდილია;

1.5. ახალგაზრდული იდეებისა და ინიციატივების მხარდასაჭერად ფინანსები გამოყოფილია;

ინდიკატორი:

- შექმნილია ახალგაზრდული იდეების მხარდაჭერის ხელმისაწვდომი და ყოვლისმომცველი მექანიზმი.
- სულ მცირე 200 ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა საგანმანათლებლო ღონისძიებებში, სამოქალაქო თავდაცვის საკითხებთან დაკავშირებით.
- სულ მცირე 300-მა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა, მუნიციპალიტეტის მიერ ინიცირებულ „ იდეების კონკურსში".
- ახალგაზრდების 50% დადებითად აფასებს ინფორმირებულობის ხარისხს მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ.

სტრატეგიული მიზანი 2. ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესებულია.

ახალგაზრდების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი გამოწვევაა დასაქმება. საყურადღებოა, ეკონომიკურად აქტიური ახალგაზრდების უმუშევრობის სტატისტიკა.

კვლევის მიხედვით, ახალგაზრდები თვლიან, რომ მუნიციპალიტეტში მათთვის სასურველი სამსახურის შოვნა რთულია. ასევე რთულია მათი პროფესიის შესაბამისად დასაქმება, რაც ნეგატიურად მოქმედებს ახალგაზრდების პროფესიული თვითრეალიზაციის შესაძლებლობაზე. ახალგაზრდები ამ კუთხით ხაზგასმით აღნიშნავენ მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებს წამყვანი დარგების მიმართულებების მიხედვით განათლების ხარისხის ამაღლებაზე. მაგ; სოფლის მეურნეობაში ჩართული ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ტექნიკური განათლების მიღება სოფლის მეურნეობის იმ დარგებში, რომლებიც მუნიციპალიტეტშია განვითარებული. მაგ; მევენახეობა, მეღვინეობა. მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივმა

ხელისუფლებამ იზრუნოს ახალგაზრდების, დარგის მიმართ დაინტერესების გაზრდაზე, შესაბამისი პროფესიული განათლების პოპულარიზაციასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე. კვლევაში აღნიშნულია, რომ კურორტ საირმის განვითარებამ ახალგაზრდების მუდმივი და სეზონური დასაქმების შესაძლებლობა გააჩინა და ახალგაზრდების ნაწილი(მათ შორის სტუდენტებიც) კურორტზე არსებულ რესტორნებში და კაფეებში საქმდებიან.

ამოცანები: 2.1 ახალგაზრდების კვალიფიკაცია და კომპეტენციები შესაბამისობაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

2.2 ახალგაზრდებში მეწარმეობის განვითარება ხელშეწყობილია.

2.3 კერძო სექტორთან დიალოგი შემდგარია.

2.4 ახალგაზრდებზე მორგებული სტაჟირების და პრაქტიკის შესაძლებლობები შექმნილია

ინდიკატორი:

- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, ახალგაზრდების 40% ინფორმირებულია პროფესიული კვალიფიკაციის შესაძლებლობების თვალსაზრისით.
- 50-მა ახალგაზრდამ დაიწყო მუშაობა სამეწარმეო საქმიანობაში.

სტრატეგიული მიზანი 3. ახალგაზრდების მიერ თავისუფალი დრო რაციონალურად და ეფექტურად ორგანიზებულია.

კვლევის მიხედვით ბაღდათის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების გართობის ფორმების სამი ძირითადი ჯგუფი გამოიყო: სოციალური, ინდივიდუალური გართობა და გართობა ინტერნეტის საშუალებით. ახალგაზრდები იშვიათად არიან კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორები. მათი აზრით, მუნიციპალიტეტში მათთვის ახალგაზრდული სივრცის არარსებობა ყველაზე დიდი პრობლემაა. არ არსებობს არც მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი სივრცე და არც კაფეები ან კინოთეატრი, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ სოციალიზაციას. შეკრების ადგილი მხოლოდ ქალაქში არსებული რამდენიმე სკვერია, რომლებშიც ახალგაზრდები ხვდებიან

ერთმანეთს. ქალაქიდან დაშორებულ სოფლებში კი მდგომარეობა კიდევ უფრო რთულია და ახალგაზრდული სივრცეები პრაქტიკულად არ არსებობს. კვლევის ანალიზის მიხედვით, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა აზრით, ახალგაზრდული სივრცე უნდა იყოს მულტიფუნქციური. აღნიშნულ სივრცეში შესაძლოა იყოს ოთახი საგანმანათლებლო ფუნქციით, ინტერნეტით, კომპიუტერებით და ბიბლიოთეკით აღჭურვილი, კინოჩვენებისთვის მცირე დარბაზითა და მუსიკალური ინფრასტრუქტურით. ახალგაზრდული სივრცეების არსებობა, როგორც ქალაქში ისე, სოფლების მასშტაბით მნიშვნელოვნად შექმნიდა ახალგაზრდების მიერ თავისუფალი დროის ეფექტურად და რაციონალურად გატარების საშუალებას.

ამოცანები: 3.1 სპორტული, შემეცნებითი და კულტურული ღონისძიებების რაოდენობა და ხელმისაწვდომობა გაზრდილია.

3.2 ახალგაზრდების შეკრებებისა და ურთიერთობების წასახალისებლად თავისუფალი სივრცეები შესაძლებლობის ფარგლებში შეთავაზებულია.

ინდიკატორი:

- შემუშავებულია სამოქმედო გეგმა ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი გარემოსა და სერვისების შექმნის შესახებ.
- შემუშავებულია სპორტული და შემეცნებითი პროგრამა, რომელიც ხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ, ან მისი ფინანსური მხარდაჭერით.
- ინფორმაცია მუნიციპალური ახალგაზრდული ღონისძიებების შესახებ ვრცელდება ახალგაზრდებისადმი ხელმისაწვდომი და მათზე მორგებული არხებით ერთიან საინფორმაციო სივრცეში.
- სოფლებში არსებული ინფრასტრუქტურა, შემლებისდაგვარად გამოყენებულია მულტიფუნქციური სივრცის უზრუნველყოფისათვის.
- მოშორებით მცხოვრები ახალგაზრდებისათვის, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილია ტრანსპორტირება.

4. სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება.

სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგისა და ეფექტიანობის განსაზღვრის მიზნით შემუშავებული იქნება რიგი მექანიზმები:

- ადგილობრივი თვითმმართველობა პერიოდულად გამოაქვეყნებს ანგარიშს, სტრატეგიის დოკუმენტით გათვალისწინებული გეგმის მიმდინარეობის შესახებ.

- გარკვეული პერიოდულობით ჩატარდება კვლევა, იმ შესაძლო პროგრესის მიზნით, რომელიც სტრატეგიის განხორციელების შედეგად მიიღება.

- შეიქმნება მუდმივმოქმედი პლატფორმა ადგილობრივ თვითმმართველობასა და სხვა საკითხით დაინტერესებულ პირებს შორის თანამშრომლობისათვის.

- არსებული შედეგების მიხედვით, განხორციელდება სტრატეგიის შუალედური და საბოლოო შეფასება და მასში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.